

14/08/2025



MES 4 25 0000983048

## **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა შერეული ფორმატით, 2025 წლის 3 აგვისტოს 12:30 საათზე, საბჭოს წევრები და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები სხდომას ესწრებოდნენ ფიზიკურ გარემოში, ხოლო ექსპერტები და დაწესებულებების წარმომადგენლები დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

## **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**ელენე კაკაბაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე; **ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**ნათია ბუთხუზი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

**გიორგი ვეკუა** - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

**ხათუნა ცერცვაძე** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;

**ეკატერინე გიგაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

**გოჩა გოგიტიძე** - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

**გოგიტა მშვენიერაძე** - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ 2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;

**ანა აროშიძე** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

**სსიპ** - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (**შემდგომში - ცენტრი**) წარმომადგენლები:

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ლონდა მინდიაშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ნინო ბეგლარაშვილი;

ნინო ქიტიაშვილი;

თორნიკე თუთარაშვილი;

თამარ ჯანგულაშვილი;

თაბუკა ციმინტია;

ნანა შათირიშვილი;

ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი;

ლია ხარებავა;

ზურაბ მესხიძე;

დავით ბიტმალკიშვილი;

თეა ბარამაშვილი;

ირმა მეგრელიძე;

ნინო კახიძე;

მიმოზა ღოლიჯაშვილი;

დემიდ ფასიეშვილი;

ბიძინა გაფრინდაშვილი;

ქეთევან ბოტკოველი;

დავით კუპატაძე;

ალექსანდრე კეკენაძე;

თამთა კვინიკაძე;

ნანა მონიავა;

ნათია მაწკეპლაძე;

ნათია ბრეგაძე;

ლელა მაისურაძე.

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი მოხის საჯარო სკოლა  
დირექტორის მ/შ - ნინო ზედგინიძე  
მასწავლებელი - თემური ბერიძე

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი ბოლაჯურის საჯარო სკოლა  
სკოლის დირექტორი - თამარი აბრამიშვილი  
პროფესიულ პროგრამაზე კოორდინატორად განსაზღვრული პირი - ნინო დათუნაშვილი

სსიპ ქ. თბილისის N195 საჯარო სკოლა  
სკოლის დირექტორი - ნინო დათიშვილი  
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ქეთევან ბოტკოველი

სსიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლა  
ზაზა გრიგალაშვილი - სკოლის დირექტორი  
გიორგი შონია - ხარისხის მართვის მენეჯერი  
ხათუნა ხიდაშელი - კოორდინატორი  
ასმათ აფხაზავა - ფინანსური მენეჯერი

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლა  
სკოლის დირექტორი - მაია თავართქილაძე  
ხარისხის მართვის მენეჯერი - ხათუნა რუსიეშვილი

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა  
სკოლის დირექტორი - სპარტაკ გოგიტიძე

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა  
სკოლის დირექტორი - ეკატერინე ნინიძე  
თეა გოგოტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი  
სოფიო ვასაძე - პროგრამის ხელმძღვანელი  
ლია კოტრიკაძე - კოორდინატორი

სსიპ ვაჟა თოდუას სახელობის ქალაქ ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლა  
სკოლის დირექტორი - მაია ჯიმშელეიშვილი  
ხარისხის მენეჯერი - ანი ჯორბენაძე  
სასწავლო პროცესის მენეჯერი - სალომე ჩიკაშვა  
პროგრამის განმახორციელებელი - ლელა გობრონიძე

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლა  
დირექტორი - ნინო ჩიხლაძე  
დირექტორის მოადგილე - ნინო გაფრინდაშვილი

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლა  
სკოლის დირექტორი - გელა მაჭარაშვილი

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი - ხათუნა მაჭარაშვილი  
კოორდინატორი - ეკა მოსიაშვილი  
ხარისხის მართვის მენეჯერი - ტაბატაძე  
შესყიდვების სპეციალისტი - მერი დვალი

**სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლა**  
სკოლის დირექტორი - მზიური შავაძე  
ვახტანგ ტაკიძე - პროგრამის ხელმძღვანელი  
ნანა ლეჯავა - პროგრამის კოორდინატორი  
ნარგიზ კახაძე- ხარისხის მართვის მენეჯერი  
ინდა მოსიძე - საგნობრივი მოდულის მოქალაქეობის პედაგოგი

**სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა**  
სკოლის დირექტორი - სერგო ხოზრევანიძე

**სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლა**  
სკოლის დირექტორი - ნატო შამილიშვილი  
ხარისხის მართვის მენეჯერი- მარიკა ზაქარეიშვილი  
კოორდინატორი - მზია გრძელიძე

**სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლა**  
სკოლის დირექტორი - ნარგიზ ჯინჭარაძე

**სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლა**  
სკოლის დირექტორი - ნათელა ტაკიძე  
ხარისხის მართვის მენეჯერი - ირმა რიონიძე  
კოორდინატორი - ნუნუ კობალაძე

**სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა**  
სკოლის დირექტორი - ცისანა ბარამიძე  
კოორდინატორი - სოფიო დუმბაძე  
ხარის მართვის მენეჯერი - ლელა ქოქოლაძე  
პედაგოგი - ლამარა ფუტკარაძე

**სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა**  
სკოლის დირექტორი - თამარ აბულაძე

**სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა**  
გულნაზ კარანაძე - სკოლის დირექტორი  
ელენე ბათაძე - პროფესიული განათლების კოორდინატორი  
თეონა დიასამიძე-საქმისმწარმოებელი  
შორენა შერვაშიძე-საინფორმაციო მენეჯერი

**სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N 1 საჯარო სკოლა**  
სკოლის დირექტორი - ნათელა კოჭლამაზაშვილი  
პროფესიული განათლების კოორდინატორი - თამარ საღირიშვილი  
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მართვის მენეჯერი - ეკატერინე უშიკვიშვილი

## **სსიპ წესტორ გოქაძის სახელობის ქ. ქუთაისის N22 საჯარო სკოლა**

ნინო ელბაქიძე - დაწესებულების/იურიდიული პირის ხელმძღვანელი

ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი - პროფესიული განათლების ხარისხის

უზრუნველყოფი/მართვის მიმართულებით მომუშავე პირი

გიორგი სანიკიძე - პროგრამის ხელმძღვანელი

## **სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა**

პროფესიული პროგრამის ხარისხის მართვის მენეჯერი - ანა ლანჩჩავა

### **საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:30 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება წებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების წებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაიტენის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ ვაჟა თოდუას სახელობის ქალაქ ლანჩჩუთის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

9. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
17. სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
18. სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
19. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N 1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
20. სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის ქ. ქუთაისის N22 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
21. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი პრაქტიკულად იდენტური საკითხებია და ეხებოდა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას. ყველა წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ დასკვნებში დაფიქსირებულია იდენტური შესაბამისობის რეკომენდაციები, რომლებიც ეხება როგორც ადამიანურ, ასევე, პროფესიული პროგრამების მატერიალური რესურსების განვითარების საკითხებს.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთიანი ხედვის ფარგლებში, 2025 წელს იგეგმება იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც განახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. სამინისტროს მიერ, საბოლოო ჯამში, შეირჩა 64 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი, გასულ წლებში, გავლილი აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებით.

სამინისტროს ერთიანი კოორდინაციით, აღნიშნულ დაწესებულებებს, გაეწიათ მხარდაჭერი სერვისები ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, რის შედეგადაც 64 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა განაცხადები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ.

სხდომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა 64 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის მონიტორინგის ვადების გადატანასთან დაკავშირებით. აღნიშნული შუამდგომლობა გამოწვეულია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ლიკვიდაციის გადაწყვეტილებით, რომელიც პასუხიმგებელი იყო წარმოდგენილ სკოლებში მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურული საკითხების მოწყობა/მობილიზებაზე სკოლებში. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული საკითხი გადაეცა ადგილობრივ თვითმართველობებს/მუნიციპალიტეტებს, განხორციელდა შესაბამისი ფინანსების გამოყოფა სამინისტროს მიერ და ამ ფინანსების ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის/მუნიციპალიტეტებისთვის გადარიცხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ ითხოვა დამატებითი ვადა პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო, სკოლების ინფრასტრუქტურის სრულად მოწყობისათვის და ეს ვადა განისაზღვრა საბჭოს სხდომიდან 6 თვე (2026 წლის იანვარი). ასევე, სამინისტროს მხრიდანვე სკოლებისთვის გაიცა რეკომენდაცია, სასწავლო გეგმების დაკორექტირებასთან დაკავშირებით, იმგვარად, რომ სასწავლო პროცესის დაწყებას არ შეეშალოს ხელი.

საბჭომ მოისმინა და განიხილა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე დაეთანხმა მას.

**პირველი საკითხი:** სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონის დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბეგლარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 25 ივნისის N751769 ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტებთან, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ("კომპიუტერული ქსელი და სისტემები") დებულების 31 - ე მუხლის, მე 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში (მისამართი: ადიგენი, სოფელი მოხე). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2 ივლისს. ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირებით დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2026 წლის მარტის თვისა. ინდიკატორი 4.1.1.2
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის სექტემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.1

- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.2
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.3
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.5.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მისამი იკვეთება, რომ დაწესებულება ორიენტირებულია, ბენეფიციარებს მისცეს ცოდნა გლობალური გამოწვევების შესაბამის კონკურენტუნარიან მოქალაქედ ჩამოსაყალიბებლად, განახორციელოს რეგიონის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული პროგრამები, რითაც წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. სკოლის მისა არის გასაგები და. მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვას კარიერული განვითარების მიმართულებითაც. „პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები“, რომელიც ადგენს პროფესიული სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების, კონსულტაციისა და მხარდაჭერის გზებს მათ დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაში. პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მიიღოს მიზნობრივი მხარდაჭერა, გააფართოოს პროფესიული უნარები და გამოიყენოს საკუთარი უფლებები დასაქმების პროცესში. სსიპ ადგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სათანადო განაწილება მიღწეულია პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს თითოეული თანამშრომლის როლს, ვალდებულებებსა და უფლებებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას, ვინაიდან საჭიროა აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების განმარტება და შესაბამისი ინფორმირება პერსონალთან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების კომპონენტის განმახორციელებელთა პოზიციების ინტეგრირება. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს აღნიშნული მიმართულებით გარკვეული აქტივობების განხორციელებას, რისთვისაც დაწესებულებას დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N21 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ინდიკატორი 4.1.1.2 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის “ თანახმად, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება სკოლაში არსებული რესურსი A,B,C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, დაწესებულებას გამოყოფილი ექნება ერთი ABC გარემო. ამ გარემოში განხორციელდება პროფესიული, ნაწილი ინტეგრირებული და დარგობრივი მოდულებისა. დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს ჯგუფში 10, ხოლო ორ ცვლაში 20 პროფესიული სტუდენტი. გარემო სრულად აღიჭურვება პროგრამის სპეციფიკით გათვალიწინებული მატერიალური-რესურსებითა და ინვენტარით. აღნიშნული აქტივობა გაწერილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. პროგრამის განხორციელებისათვის სკოლა ასევე გამოიყენებს დარგობრივ კაბინეტებს/ლაბორატორიებს და სპორტულ და სარეკრეაციო სივრცეებს. სკოლა სასწავლო ცხრილს დაგეგმავს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასკოლო პროგრამების განხორციელებას. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტები ამ სასწავლო გარემოში გაივლიან პროგრამის ფარგლებში როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ კომპონენტს, სკოლას საშუალება ექნება შეუფერხებლად განახორციელოს სწავლება ორ ცვლაში, თუმცა პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. სკოლას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის მობილიზება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, განხორციელების მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, სულ პროგრამას ახორციელებს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. პერსონალის დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება შიდა რეგულაციით განსაზღვრულ კვალიფიკაციასა და/ან სამუშაო გამოცდილებებს. თუმცა წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ დაწესებულებას უმეტეს მოდულზე ჰყავს განსაზღვრული მხოლოდ ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს პერსონალის მობილიზების საკითხი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული განათლების მასწავლებების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პერსონალს სჭირდება პროფესიული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სპეციფიკის კუთხით. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ამისათვის დაწესებულებას აქვს შესაბამისად მოწყობილი ბიბლიოთეკაც, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას რესურსების მობილიზება გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელდება იმიტირებული გარემოში და არ საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის გავლას პრაქტიკის ობიექტებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლას (ს/კ: 222727967) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეორე საკითხი:** სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

### • არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბეგლარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 26 ივნისის N759997 ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტებთან, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ("ადმინისტრაციული სერვისები") დებულების 31 - ე მუხლის, მე 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში (მისამართი: ადიგენი, სოფელი ბოლაჯური). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის პირველ ივლისს. ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

## სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირებით დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2026 წლის მაისის თვისა. ინდიკატორი 4.1.1.2
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.2
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.3
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.4
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.5

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მისიაში იკვეთება, რომ დაწესებულება ქმნის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელ გარემოსა და პირობების, ზრუნავს მოსწავლეების 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვაზე და ეხმარება მათ საკუთარი როლის განსაზღვრაში. სკოლა მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრების მომზადებისა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას სტუდენტებში. შესაბამისად, ჩანს, რომ სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს - ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე. დაწესებულება ორიენტირებულია, რომ კვალიფიციური კადრების მომზადებით ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებასა და პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. სკოლის მისია არის გასაგები და მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს. ნათელია, რომ დაწესებულების როლია ახალგაზრდებისთვის არა მარტო ზოგადი, არამედ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა. სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. დაწესებულების ფილოსოფია გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე, სხვა სოციალური საკომუნიკაციო არხებით და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები დეტალურად გაეცნობიან თავიანთ უფლებებსა და დაცვის მექანიზმებს პროგრამაში ჩართვისთანავე. ამას უზრუნველყოფს როგორც სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სათანადო განაწილება მიღწეულია პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს თითოეული თანამშრომლის როლს, ვალდებულებებსა და უფლებებს. პერსონალის მართვის პროცესი სისტემატიზებულია და მოიცავს კადრების შერჩევას, ინტეგრაციას, შეფასებას, წახალისებასა და დისციპლინას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას. ამ პოლიტიკის ფარგლებში, ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამშრომელს გადანაწილებული აქვს

კონკრეტული ფუნქციები, რაც აუმჯობესებს თანამშრომლობას, ერთიან ორგანიზაციულ მიზნებთან შესაბამისობასა და სამსახურის ხარისხს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას, ვინაიდან საჭიროა აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების განმარტება და შესაბამისი ინფორმირება პერსონალთან. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს აღნიშნული მიმართულებით გარკვეული აქტივობების განხორციელებას, რისთვისაც დაწესებულებას დირექტორის 11.06.2025 წლის N29 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“**

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება სკოლაში არსებული რესურსი - A,B,C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს პროგრამის სივრცე ერთი AB გარემო და სპორტული მოედანი სპორტის მოდულისთვის. წარმოდგენილი მასალების შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, სკოლის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე „ადმინისტრაციული სერვისები“ მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობა და შეუფერხებელი სწავლება დაწესებულებაში. ყოველივეს გათვალისწინებით სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრა 20 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში. თუმცა პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. სკოლას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის მობილიზება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“, განხორციელების მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, სულ პროგრამას ახორციელებს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ეწინაღმდეგება „საქართველოს მრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. პერსონალის დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება შიდა რეგულაციით განსაზღვრულ კვალიფიკაციასა და/ან სამუშაო გამოცდილებებს. თუმცა წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ დაწესებულებას უმეტეს მოდულზე ჰყავს განსაზღვრული მხოლოდ ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს პერსონალის მობილიზების საკითხის მოგვარება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ პროფესიული

განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრებით გამოივეთა, რომ პერსონალს სჭირდება პროფესიული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სპეციფიკის კუთხით. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა. დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივნისის N28 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესში“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ ხელმძღვანელად დანიშნული პირი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა მნიშვნელოვანია, სკოლამ უზრუნველყოს მისი პროფესიული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სპეციფიკით. აღნიშნული საკითხი სკოლას გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაში „ადმინისტრაციული სერვისები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ამისათვის დაწესებულებას აქვს შესაბამისად მოწყობილი ბიბლიოთეკაც, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას რესურსების მობილიზება გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას (ს/კ: 222727985) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მესამე საკითხი:** სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბეგლარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 25 ივნისის N750981 ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტებთან, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ("კომპიუტერული ქსელი და სისტემები") დებულების 31 - ე მუხლის, მე 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლაში (მისამართი: ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. #26). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 3 ივნისს. ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

## სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირებით დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2026 წლის მარტის თვისა. ინდიკატორი 4.1.1.2
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის სექტემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.1
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.2
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.3
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.5

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მისიაში იკვეთება, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ბენეფიციარებს სთავაზობს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ, მრავალფეროვან პროფესიულ საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს, რაც საფუძველს უყრის კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების ჩამოყალიბებასა და მათ წარმატებულ დასაქმებას. შესაბამისად, ჩანს, რომ სკოლის მისა შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს - ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და

განვითარებაზე. სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლაში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას. დაწესებულებაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სათანადო განაწილება მიღწეულია პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს თითოეული თანამშრომლის როლს, ვალდებულებებსა და უფლებებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას, ვინაიდან საჭიროა აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების განმარტება და შესაბამისი ინფორმირება პერსონალთან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების კომპონენტის განმახორციელებელთა პოზიციების ინტეგრირება. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს აღნიშნული მიმართულებით გარკვეული აქტივობების განხორციელებას, რისთვისაც სკოლას დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება სკოლაში არსებული რესურსი A,B,C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, განკუთვნილია ABC გარემო. ამ გარემოში განხორციელდება პროფესიული, ნაწილი ინტეგრირებული და დარგობრივი მოდულებისა. დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს ჯგუფში 15, ხოლო ორ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტი. გარემო სრულად აღიჭურვება პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალური-რესურსებითა და ინვენტარით. აღნიშნული აქტივობა გაწერილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. პროგრამის განხორციელებისათვის სკოლა ასევე გამოიყენებს დარგობრივ კაბინეტებს/ლაბორატორიებს და სპორტულ და სარეკრეაციო სივრცეებს. სკოლა სასწავლო ცხრილს დაგეგმავს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასკოლო პროგრამების განხორციელებას. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტები ამ სასწავლო გარემოში გაივლიან პროგრამის ფარგლებში როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ კომპონენტს, სკოლას საშუალება ექნება შეუფერხებლად განახორციელოს სწავლება ორ ცვლაში, თუმცა პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. სკოლას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის მობილიზება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, განხორციელების მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, სულ პროგრამას ახორციელებს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ეწინაღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. პერსონალის დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ პერსონალის სამუშაო

აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება შიდა რეგულაციით განსაზღვრულ კვალიფიკაციასა და/ან სამუშაო გამოცდილებებს. თუმცა წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ დაწესებულებას უმეტეს მოდულზე ჰყავს განსაზღვრული მხოლოდ ერთი განმახორციელებელი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრებით გამოივეთა, რომ პერსონალს სჭირდება პროფესიული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სპეციფიკის კუთხით. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ამისათვის დაწესებულებას აქვს შესაბამისად მოწყობილი ბიბლიოთეკაც, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას რესურსების მობილიზება გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელდება იმიტირებული გარემოში და არ საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის გავლას პრაქტიკის ობიექტებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლას (ს/კ: 204900107) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და

საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბეგლარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 25 ივნისის N750971 ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტებთან, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („სასტუმროს მომსახურება“) დებულების 31 - ე მუხლის, მე 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის გ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ ქალაქ თბილისის N102

საჯარო სკოლაში (მისამართი: ქ. თბილისი, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ.27). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 4 ივლისს. ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

## სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირებით დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2026 წლის მარტის თვისა. ინდიკატორი 4.1.1.2
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის სექტემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.1
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.2
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.3
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2025 წლის ნოემბრის თვისა. ინდიკატორი 2.2.1.5

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მისამი იკვეთება, რომ დაწესებულება მიზნად ისახავს, განახორციელოს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე შრომის ბაზრის გამოწვევების შესაბამისი მრავალდარგობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას, ინდივიდის დასაქმებასა და თვითდასაქმებას. შესაბამისად, ჩანს, რომ სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს - ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე. სკოლის მისია ნამდვილად განსაზღვრავს დაწესებულების მირითად პროფილს. ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს. ნათელია, რომ დაწესებულების როლია, ახალგაზრდებისთვის არა მარტო ზოგადი, არამედ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა. სიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლაში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების

უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას. დაწესებულებაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სათანადო განაწილება მიღწეულია პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს თითოეული თანამშრომლის როლს, ვალდებულებებსა და უფლებებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას, ვინაიდან საჭიროა აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების განმარტება და შესაბამისი ინფორმირება პერსონალთან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების კომპონენტის განმახორციელებელთა პოზიციების ინტეგრირება. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს აღნიშნული მიმართულებით გარკვეული აქტივობების განხორციელებას, რისთვისაც სკოლას დირექტორის 2025 წლის 18 ივნისის N 2-140 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“**

ექსპერტის განცხადებით, „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, „სასტუმროს მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება სკოლაში არსებული რესურსი - A,B,C გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, განკუთვნილია ABC გარემო. ამ გარემოში განხორციელდება პროფესიული, ნაწილი ინტეგრირებული და დარგობრივი მოდულებისა. დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს ჯგუფში 15, ხოლო ორ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტი. გარემო სრულად აღიჭურვება პროგრამის სპეციფიკით გათვალიწინებული მატერიალური-რესურსებითა და ინვენტარით. აღნიშნული აქტივობა გაწერილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. პროგრამის განხორციელებისათვის სკოლა ასევე გამოიყენებს დარგობრივ კაბინეტებს/ლაბორატორიებს და სპორტულ და სარეკრეაციო სივრცეებს. სკოლა სასწავლო ცხრილს დაგეგმავს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასკოლო პროგრამების განხორციელებას. ვინაიდან პროფესიულ სტუდენტები ამ სასწავლო გარემოში გაივლიან პროგრამის ფარგლებში როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ კომპონენტს, სკოლას საშუალება ექნება შეუფერხებლად განახორციელოს სწავლება ორ ცვლაში, თუმცა პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. სკოლას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა, როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია 17 მასწავლებელთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ეწინაღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. პერსონალის დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება შიდა რეგულაციით განსაზღვრულ კვალიფიკაციასა და/ან სამუშაო გამოცდილებებს. თუმცა წარმოდგენილი

მასალებით დგინდება, რომ დაწესებულებას უმეტეს მოდულზე ჰყავს განსაზღვრული მხოლოდ ერთი განმახორციელებელი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმროს მომსახურება“ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრებით გამოივეთა, რომ პერსონალს სჭირდება პროფესიული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სპეციფიკის კუთხით. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმროს მომსახურება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. ამისათვის დაწესებულებას აქვს შეესაბამისად მოწყობილი ბიბლიოთეკაც, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას რესურსების მობილიზება გათვალისწინებული აქვს შეესაბამისობის გეგმით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელდება იმიტირებული გარემოში და არ საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის გავლას პრაქტიკის ობიექტებზე, თუმცა სკოლა გეგმავს სასწავლო ექსკურსიების მოწყობის მიზნით თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას სხვადსხვა სასტუმროსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლას (ს/კ: 204873459) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 4).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და

საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეხუთე საკითხი:** სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების

მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომელიც ახორციელებს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სწავლებას. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელო სასწავლო პროცესი, თუმცა რჩევაა დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის მიზნით, მომდევნო სასწავლო წლისთვის (სწავლების მეორე წელი), უზრუნველყოს შესაბამისი კადრების მოზიდვა ან/და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი დატვირთვის გადახედვა, რათა პროფესიული სტუდენტებისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდება იყოს უზრუნველყოფილი. რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) საჭიროებს შესაბამის მოწყობას, რაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში მოხდება პროფესიული პროგრამების განხორციელება ლაბორატორიის სივრცეში. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს სპორტის სხვადასხვა სახეობები .ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სწავლება, თუმცა რჩევაა დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რითაც პროფ. სტუდენტებს არ შეეზღუდება მიიღონ შესაბამისი სერვისი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შესაძლებელს ხდის სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების პროფესიული გადამზადება ამ მიმართულებით. დასკვნა- დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, რათა ეფექტიანად დაიგეგმოს და განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, ყველა პროცესის და ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე რჩევაა დაწესებულებამ იზრუნოს ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის მოზიდვაზე, ასევე რისკების მართვის ეფექტური და ეფექტიანი სისტემის შემუშავებაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1; 4.1.1.2. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში

2.2.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცის ( A,B,C სასწავლო გარემო)აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (6 თვე);

2.2.1.2 - უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების დასაქმება(6 თვე).

2.2.1.3 - უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - (6 თვე).

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის მისია არის გასაგები და მამოტივირებელი. მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. მისი დანართი, ჩანს დაწესებულების როლი, რომ სკოლა იძლევა საშუალებას ახალგაზრდამ მიიღოს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი იყოს მეტად კონკურენტუნარიანი, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით დაუპირისპირდეს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს, რაც თავისთავად გულისხმობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიონალი კადრების მომზადებას. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. ვიზიტის ფარგლებში სკოლის დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №2-128 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა წინარე ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრულია ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და შესყიდვების სპეციალისტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს მირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს მირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად, დაწესებულებას, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და ვადები.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“**

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული

რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ განხორციელებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 20 სტუდენტით, მათ შორის ერთ ჯგუფში მისაღები სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობაა 10. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი A/B/C გარემოები, რომელიც არ იყო აღჭურვილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება პირველად იმატებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განხორციელების მიზნით. „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები. აღნიშნულიდან გამომდინარე. „ადმინისტრაციულ სერვისები“ ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან. პროფესიული მოდულების ფარგლებში ჩართულია პროფესიული მასწავლებლები. თუმცა, დაწესებულება გეგმავს დარგობრივი მოდულების მოძიების პროცესის გაგრძელებას, რაც ასახულია შესაბამისობის გეგმაში. მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით, სადაც წარმოდგენილი იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი, ტრენინგების გავლის, სამუშაო გამოცდილების და სხვ. დოკუმენტები და პედაგოგებთან შერჩევითი პრინციპით ჩატარებული გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მოდულების განხორციელებისთვის და პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭიროებენ კომპეტენციების ამაღლებას. აგრეთვე ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა იზიარებს ახალი სკოლის მოდელს და მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს კომპლექსურ დავალებებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას. შესაბამისად, მათთვის, როგორც სკოლის შიდა რესურსით, ისე გარე რესურსებით (ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით) დაგეგმილია ტრენინგები, რითაც დაეუფლებიან შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

## კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

## წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის „შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 237095905) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 5).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

**წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.**

**მექანიზმის საკითხი:** სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომელიც ახორციელებს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სწავლებას. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელო სასწავლო პროცესი, თუმცა რჩევაა დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის მიზნით, მომდევნო სასწავლო წლისთვის (სწავლების მეორე წელი), უზრუნველყოს შესაბამისი კადრების მოზიდვა ან/და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი დატვირთვის გადახედვა, რათა პროფესიული სტუდენტებისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდება იყოს უზრუნველყოფილი. რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) საჭიროებს შესაბამის მოწყობას, რაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში მოხდება პროფესიული პროგრამების განხორციელება ლაბორატორიის სივრცეში. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს სპორტის სხვადასხვა სახეობები .ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სწავლება, თუმცა რჩევაა დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რითაც პროფ. სტუდენტებს არ შეეზღუდება მიიღონ შესაბამისი სერვისი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შესაძლებელს ხდის სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების პროფესიული გადამზადება ამ მიმართულებით. დასკვნა- დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, რათა ეფექტიანად

დაიგეგმოს და განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, ყველა პროცესის და ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე რჩევაა დაწესებულებამ იზრუნოს ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის მოზიდვაზე, ასევე რისკების მართვის ეფექტური და ეფექტური სისტემის შემუშავებაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

## **სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

4.1.1.1; 4.1.1.2. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში;

2.2.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცის (A,B,C სასწავლო გარემო) აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში;

2.2.1.2 - უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების დასაქმება.- (6 თვე).

2.2.1.3 - უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - (6 თვე).

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, მისით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განსაზღვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან. დაწესებულების მისიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N1/კ-28 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის N1/კ-37 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 8 თვიანი გეგმა. რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა წინარე ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრულია ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და შესყიდვების სპეციალისტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას.

შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი(ბრძ. N1/კ-28;16.06.2025) , აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს მირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად, დაწესებულებას, დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N1/კ-37 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და ვადები.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-End დეველოპმენტი“**

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-End დეველოპმენტი" განხორციელებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 30 სტუდენტით, მათ შორის ერთ ჯგუფში მისაღები სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობაა 15. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი A/B/C გარემოები, რომელიც არ იყო აღჭურვილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება პირველად იმატებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განხორციელების მიზნით. დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები. Front-End დეველოპმენტი" ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან. პროფესიული მოდულების ფარგლებში ჩართულია პროფესიული მასწავლებლები. თუმცა, დაწესებულება გეგმავს დარგობრივი მოდულების მოძიების პროცესის გაგრძელებას, რაც ასახულია შესაბამისობის გეგმაში. მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით, სადაც წარმოდგენილი იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი, ტრენინგების გავლის, სამუშაო გამოცდილების და სხვ. დოკუმენტები და პედაგოგებთან შერჩევითი პრინციპით ჩატარებული გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მოდულების განხორციელებისთვის და პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭიროებენ კომპეტენციის ამაღლებას. აგრეთვე ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა იზიარებს ახალი სკოლის მოდელს და მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს კომპლექსურ დავალებებს, პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას. შესაბამისად, მათთვის, როგორც სკოლის შიდა რესურსით, ისე გარე რესურსებით (ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით) დაგეგმილია ტრენინგები, რითაც დაეუფლებიან შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავდა პროგრამის ხელმძღვანელი, თუმცა მისის კვალიფიკაციის შესწავლისა და დარგობრივი ექსპერტის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევდნენ რომ აღნიშნულის პირი ვერ უზრუნველყოფდა მოდულის ეფექტიანად წარმართვას და ხელმძღვანელობას. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში გაითვალისწინა ექსპერტების მითითება წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის ფარგლებში 6 თვის ვადაში განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლას (ს/კ: 237101989) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 6).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „Front-End დეველოპმენტის“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეშვიდე საკითხი:** სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომელიც ახორციელებს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების

სწავლებას. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელო სასწავლო პროცესი, თუმცა რჩევაა დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის მიზნით, მომდევნო სასწავლო წლისთვის (სწავლების მეორე წელი), უზრუნველყოს შესაბამისი კადრების მოზიდვა ან/და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი დატვირთვის გადახედვა, რათა პროფესიული სტუდენტებისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდება იყოს უზრუნველყოფილი. რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) საჭიროებს შესაბამის მოწყობას, რაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში მოხდება პროფესიული პროგრამების განხორციელება ლაბორატორიის სივრცეში. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს სპორტის სხვადასხვა სახეობები .ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სწავლება, თუმცა რჩევაა დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რითაც პროფ. სტუდენტებს არ შეეზღუდება მიიღონ შესაბამისი სერვისი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შესაძლებელს ხდის სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების პროფესიული გადამზადება ამ მიმართულებით. დასკვნა - დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, რათა ეფექტიანად დაიგეგმოს და განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, ყველა პროცესის და ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე რჩევაა დაწესებულებამ იზრუნოს ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის მოზიდვაზე, ასევე რისკების მართვის ეფექტური და ეფექტიანი სისტემის შემუშავებაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### **სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

4.1.1.1; 4.1.1.2. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (8თვე)

2.2.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცის (A, B და C ტიპის სასწავლო გარემო) აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (6 თვე);

2.2.1.2 - უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების დასაქმება.- (6 თვე).

2.2.1.3 - უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - (6 თვე).

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. მისით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან, დაწესებულების მისიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №2-27 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტან ერთად, წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-50 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტან შესაბამისობის უზრუნველყოფის 8 თვიანი გეგმა. რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა წინარე ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრულია ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და შესყიდვების სპეციალისტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი(ბრძ. N2-27;13.06.2025), აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად, დაწესებულებას, დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-50 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და ვადები.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით არ აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში „ა.ა. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა“, რომლის ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის ოქტომბერი აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. დასაქმებულებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ დასაქმებულები იცნობენ შინაგანაწესს, იციან მათი უფლებები. დაწესებულებას საქმეში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, ამ გეგმის ა.გ. ქვეპუნქტის შესაბამისად სკოლა გეგმავს შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავებას, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით. სკოლას შინაგანაწესით არ აქვს განსაზღვრული საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობის და გაცემის წესის ნაწილი. ასევე სასურველია, რომ დაწესებულებამ შინაგანაწესით სამუშაო დრო განსაზღვროს იმგვარად, რომ ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა არ აღემატებოდეს კვირაში 40 საათს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 4.1.2.2 მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. ცვლილების განხორციელების პროცესში დოკუმენტში ასახოს საქართველოს შრომის კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

ექსპერტის განცხადებით, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურში. სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, დაწესებულებაში იგეგმება მოწყობის და სრულად აღიჭურვის შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსის მოთხოვნის დოკუმენტი (დანართი №28) და დაწყებული აქვს შესყიდვის პროცედურა რომელის საბოლოო ვადა განსაზღვრულია 2025 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით. წარმოდგენილი მოთხოვნილი (დანართი №28) მატერიალური რესურსი საკმარისია სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N41 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 -

პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N41 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი არ არის ხელმისაწვდომი ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ნაწილი ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მატერიალური, ელ. რესურსი) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებულ მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, ხოლო, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად - არასაკმარისია, თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება, რისთვისაც, სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N41 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, საგანმანათლებლო რესურსების მომიების/თარგმნისთვის გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 248386811) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 11).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

**წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორცილება არ დადგეს რისკის ქვეშ.**

**მეთორმეტე საკითხი:** სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759927 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების— 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „ფოტოგრაფია— პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 4 ივნისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლაში (მის: ხელვაჩაური, სოფ. ქვედა სალიბაური მე-4, 1 ჩიხი N1).. სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისია, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად განახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (C გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების— ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს -ფრენბურთი და მაგიდის ჩიგბურთი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის დარბაზი სამუშალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია სპორტის გაკვეთილებისთვის გამოყოფილი სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება. ფრენბურთისთვის გამოყოფილია ეზოში გარე სივრცე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის,

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს მირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება.

### განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 3.1.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულების 7.3 პუნქტის განვრცობა/კორექტირება, იმგვარად, რომ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი— ქვეპუნქტი, კერძოდ სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტში დაემატოს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, ასევე დაწესებულებამ დააკონკრეტოს რა მონაცემს ამუშავებს და როგორ. ინდიკატორი 2.4.1.6. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს სასწავლო ლაბორატორიისთვის უსაფრთხოდ მუშაობის წესი და ეს წესი განათავსოს ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი 2.1.1.1. მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს დაწესებულებამ შეისწავლოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია გაამრავალფეროვნოს სასწავლო რესურსები.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პირები იცნობენ და გააზრებული აქვთ მათი ფუნქციები, დოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული პირების ფუნქციები, რაც დაეხმარება დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად წარმართოს სასწავლო პროცესი. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით არ აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში (დამტკიცებული დირექტორის N01-02/76 ბრძანებით) „ა.ა.

ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა—, რომლის ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის ოქტომბერი აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფოტოგრაფია“**

ექსპერტის განცხადებით, შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო გარემო. ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებულ ზოგადი მოდული, „სპორტი— მოიცავს კალათბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის კომპონენტებს. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარადაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია. წარმოდგენილი მოთხოვნილი მატერიალური რესურსი საკმარისია სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის, რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 22 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 10 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N01-02/57 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს პროგრამის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის

აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.4.-ის მოთხოვნასთან, რომ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი არაა ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება, რისთვისაც, სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N01-02/57 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, საგანმანათლებლო რესურსების მოძიების/თარგმნისთვის გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი არის ხელმისაწვდომი ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე, „განაათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 245428951) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 12).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოხვივა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „ფოტოგრაფიის“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად

განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეცამეტე საკითხი:** სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759848 ბრძანების საფულველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ);

ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 5 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლაში. სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისია, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (B გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს -კალათბურთი და ფეხბურთი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი და სტადიონი საშუალებას იძლევა წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია დარბაზის სივრცის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. ექსპერტების ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება.

### განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.1.1.3 დაწესებულების მიერ ფორმულირებული ხედვა არის ძალიან მცირე, იგი ვერ იძლევა დაწესებულების იმიჯის ფორმირების საშუალებას. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზების მიზნით, სასურველია, რომ კიდევ ერთხელ გადახედონ მისიას, ხედვას და ღირებულებებს, გაასწორონ ტექნიკური უზუსტობები, ხოლო ღირებულებების ნაწილი განავრცონ.

ინდიკატორი 3.1.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულების 7.3 პუნქტის განვრცობა/კორექტირება, იმგვარად, რომ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, კერძოდ სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტი დაემატოს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, ასევე დაწესებულებამ დააკონკრეტოს რა მონაცემს ამუშავებს და როგორ.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს შეისწავლოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები, მიიღონ დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი.

ინდიკატორი 2.4.1.6. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს სასწავლო ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესი და ეს წესი განათავსოს ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტის განცხადებით, ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 5 ადმინისტრაციული და 14 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 პროფესიული განათლების კოორდინატორი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი, 1 შესყიდვების მენეჯერი და 1 საქმისმწარმოებელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 12 ინტეგრირებული მოდულის მასწავლებელი და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულებას ინტეგრირებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით არ აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში „ა.ა. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა“, რომლის ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის ოქტომბერი. აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური წარმოების წესიც. დასაქმებულებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ დასაქმებულები იცნობენ შინაგანაწესს, იციან მათი უფლებები. დაწესებულებას საქმეში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, ამ გეგმის ა.გ. ქვეპუნქტის შესაბამისად სკოლა გეგმავს შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავებას, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით. სკოლას შინაგანაწესით არ აქვს განსაზღვრული საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობის და გაცემის წესის ნაწილი. აღნიშნულის

გათვალისწინებით ინდიკატორის 4.1.2.2 მოთხოვნა ნაწილობრივ დაკამაყოფილებულია. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. ცვლილების განხორციელების პროცესში დოკუმენტში ასახოს საქართველოს მრომის კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის #6 საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ახორციელებს ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა, მეორე შესახვევი N5, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 30 სტუდენტი). დაწესებულებაში იგეგმება მოწყობის და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ვადა, იმისათვის, რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 14 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. პროგრამის სასწავლო მოდულების სპეციფიკადან გამომდინარე გასაუბრების შედეგად გაირკვა რომ არსებობს მოდულები, რომლებთან მუშაობის მწირი გამოცდილება გააჩნიათ და სასურველია მოხდეს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რის მზაობასა და მოტივაციას გამოხატავენ დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები. რაც შეეხება ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლები, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. ახალ პროგრამის ხელმძღვანელი, რადგან ვიზიტის პერიოდში დაინიშნა აღნიშნულ პოზიციაზე, ვერ ჩაერთვებოდა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს პროგრამის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, თუმცა

საჭიროებს გადამზადებას, როგორც დარგობრივი მოდულების, ასევე პროგრამის ხარისხიანად განხორციელების მიზნით. იგი არ იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს. თუმცა მას გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.4.-ის მოთხოვნასთან, რომ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების მოძიების/თარგმნისთვის გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა, სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლას (ს/კ: 246994025) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 13).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეთოთხმეტე საკითხი:** სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759609 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ ქობულეთის N5 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 6 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქალაქ ქობულეთის N5 საჯარო სკოლაში. სკოლის, როგორც

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისა, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (B გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს -კალათბურთი და ფეხბურთი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი და სტადიონი საშუალებას იძლევა წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. ექსპერტების ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ექსპერტის განცხადებით, ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 5 ადმინისტრაციული და 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 პროფესიული განათლების კოორდინატორი, 1 შესყიდვების სპეციალისტი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 10 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულებას ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით არ აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში დაგეგმა ამ დოკუმენტის გადახედვა და გადამტკიცება - „ა.ა. ორგანიზაციული სტრუქტურის

გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა“, რომლის ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის ოქტომბერი აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. დაწესებულებას საქმეში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, ამ გეგმის ა.გ. ქვეპუნქტის შესაბამისად სკოლა გეგმავს შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავებას, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით. სკოლას შინაგანაწესით არ აქვს განსაზღვრული საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობისა და გაცემის წესის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 4.1.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. ცვლილების განხორციელების პროცესში დოკუმენტში ასახოს საქართველოს შრომის კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**

ექსპერტის განცხადებით, შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე, A გარემო 20 სტუდენტზე - თეორიული სწავლებისათვის, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორია, სპორტის დარბაზი (ჯამში 40 სტუდენტი). მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 13 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განვითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. რაც შეეხება ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლები, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული

აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №.01-02/71 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. პროგრამის ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს პროგრამის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, გააჩნია შესაბამის პროგრამის განხორციელების გამოცდილება, გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.4.-ის მოთხოვნასთან, რომ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მატერიალური, ელ. რესურსი) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებულ მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, ხოლო, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად - არასაკმარისია, თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება, რისთვისაც, სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №.01-02/71 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, საგანმანათლებლო რესურსების მოძიების/თარგმნისთვის გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლას (ს/კ: 246998502) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 14).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეთხუთმეტე საკითხი:** სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759442 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 7 ივლის განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლაში. სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისა, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (B გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს -კალათბურთი და მაგიდის ჩიგბურთი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას. შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. ექსპერტების ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში. სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს

ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას. შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. ექსპერტების ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, ასევე პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებლებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### **სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება.

ინდიკატორის 4.1.2.2 - შესაბამისობის რეკომენდაცია, გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. ცვლილების განხორციელების პროცესში დოკუმენტში ასახოს საქართველოს შრომის კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. შინაგანაწესში ასახული ცვლილება დირექტორის წარდგინებით დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე, ხოლო ამავე ოქმით დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N01-03/22 ბრძანება „შინაგანაწესის დამტკიცების“ თაობაზე გამოცხადდეს მალადაკარგულად.

### **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

ინდიკატორი 3.1.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულების 7.3 პუნქტის განვრცობა/კორექტირება, იმგვარად, რომ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, კერძოდ სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტში დაემატოს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, ასევე დაწესებულებამ დააკონკრეტოს რა მონაცემს ამუშავებს და როგორ.

ინდიკატორის 4.1.1.2 დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს დასაქმებულებთან დამატებითი გასაუბრების ჩატარება მათვის პროფესიული განათლების სპეციფიკის გაცნობის მიზნით ან დაუგეგმოს შესაბამისი ტრენინგები პროფესიული განათლების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ინდიკატორი 2.4.1.6. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს სასწავლო ლაბორატორიისთვის უსაფრთხოდ მუშაობის წესი და ეს წესი განათავსოს ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტის განცხადებით, ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 5 ადმინისტრაციული და 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 სასწავლო პროცესის მენეჯერი, 1 შესყიდვების სპეციალისტი, 1 საქმისმწარმოებელი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 10 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულებას ინტეგრირებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით არ აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში დაგეგმა ამ დოკუმენტის გადახედვა და გადამტკიცება - „ა.ა. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა“, რომლის ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის ოქტომბერი. აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. ზსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ნაწილობრივ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და მის მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად დაწესებულებას საქმეში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, ამ გეგმის ა.გ. ქვეპუნქტის შესაბამისად სკოლა გეგმავს შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავებას, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის ან/და გათვალისწინების მიზნით. სკოლას შინაგანაწესით არ აქვს განსაზღვრული საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობისა და გაცემის წესის ნაწილი. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. ცვლილების განხორციელების პროცესში დოკუმენტში ასახოს საქართველოს შრომის კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. შინაგანაწესში ასახული ცვლილება დირექტორის წარდგინებით დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე, ხოლო ამავე ოქმით დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N01-03/22 ბრძანება „შინაგანაწესის დამტკიცების“ თაობაზე გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**

ექსპერტის განცხადებით, შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 40 სტუდენტი). სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარადაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოწყობის და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსის მოთხოვნის დოკუმენტი (დანართი №28) და დაწყებული აქვს შესყიდვის პროცედურა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. იმისათვის, რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად

სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, ასევე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N41 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ვერ დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს პროგრამის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, არ იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, თუმცა არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.4.-ის მოთხოვნასთან, რომ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი არ არის ხელმისაწვდომი ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ნაწილი ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მატერიალური, ელ. რესურსი) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებულ მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, ხოლო, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად - არასაკმარისა, თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება, ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია

ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში დაწესებულებას ემლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 246954407) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 15).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეთექვსმეტე საკითხი:** სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

### • არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

### • არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №758651 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 8 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში (სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული, პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისია, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. სივრცე სადაც

განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (B გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები, თუმცა სკოლა გეგმას იმიტირებული ლაბორატორიის მოწყობას აღნიშნული მოდულისათვის. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს -ხელბურთი (მოსაწყობია გარემო) და მაგიდის ჩოგბურთი, თუმცა თავისუფლად შეუძლიათ განახორციელონ კალათბურთი და ფრენბურთიც. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. ექსპერტების ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, მოდულების განმახორციელებლებს, ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება.

ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. სტრუქტურით უფრო მკაფიოდ გამოაჩინოს სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ურთიერთ-დაქვემდებარება, კერძოდ ასახოს ვის ექვემდებარებიან პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირები, ასევე სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირების ერთმანეთისადმი დაქვემდებარება ასახოს იმგვარად, რომ გამოაჩინოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დამოუკიდებლობა სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან.

## **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

ინდიკატორი 3.1.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულების 7.3 პუნქტის განვრცობა/კორექტირება, იმგვარად, რომ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, კერძოდ სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტში დაემატოს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, ასევე დაწესებულებამ დააკონკრეტოს რა მონაცემს ამუშავებს და როგორ.

ექსპერტის განცხადებით, ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 5 ადმინისტრაციული და 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 პროფესიული განათლების კოორდინატორი, 1 შესყიდვების სპეციალისტი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 10 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე განმეორებით შეფასდა სკოლის სტრუქტურა. სტრუქტურაში, მართალია, გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მიმართულებით შესაბამისი პოზიციები, თუმცა სტრუქტურით არ ჩანს ვის დაქვემდებარებაშია ისინი, ამასთან აუცილებელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იყოს დამოუკიდებელი, სასწავლო პროცესების მართვის კოორდინატორისა და მისი ფუნქციები ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა იმიჯნებოდეს, რათა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურიდან გამომდინარე, ხარისხის მართვის მენეჯერი ექვემდებარება სასწავლო პროცესის კოორდინატორს. ვინაიდან დაწესებულებას არ შეუტანია ცვლილება თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დაგეგმილი ცვლილებების ასახვა სტრუქტურაში - „ა.ა. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა“, რომლის ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის ოქტომბერი. აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. სტრუქტურით უფრო მკაფიოდ გამოაჩინოს სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ურთიერთ-დაქვემდებარება, კერძოდ ასახოს ვის ექვემდებარებიან პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირები, ასევე სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირების ერთმანეთისადმი დაქვემდებარება ასახოს იმგვარად, რომ გამოაჩინოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დამოუკიდებლობა სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან. დაწესებულებამ 2025 წლის 24 ივლისის არგუმენტირებული მსჯელობის დანართის სახით წარმოადგინა განახლებული შინაგანაწესი, რომელიც ახლიდან იქნა შესწავლილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დაწესებულებას გამოგზავნილ შინაგანაწესი ასახული აქვს გათვალისწინებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში გაკეთებული რეკომენდაციები, მათ შორის გათვალისწინებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლების შაბათი დღის დატვირთვაც (მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი). ცვლილებაა შესული შინაგანაწესით განსაზღვრულ სამუშაო დროშიც, რომელიც სკოლამ განსაზღვრა 09:00-18:00 საათამდე. შინაგანაწესი ადაპტირებული პროფესიული განათლების სპეციფიკაზე, თუმცა არ არის დამტკიცებული. დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციის დანართის სახით არ წარმოუდგენია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი და დამტკიცების რეკვიზიტები, ასევე არ არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშთან ერთად გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმაში შესული ცვლილება. აღნიშნულის გათვალისწინებით,

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, ინდიკატორის 4.1.2.2 მოთხოვნა შეფასდა, როგორც ნაწილობრივ დაკმაყოფილებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის ორგონიზაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

ექსპერტის განცხადებით, შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. ასევე თეორიული სწავლების კლასი 15 სტუდენტზე - ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდული, „სპორტი“ მოიცავს ხელბურთს და მაგიდის ჩოგბურთის კომპონენტებს, ხელბურთის აღჭურვილობა დაწესებულებას არ აქვს, თუმცა აქვს კალათბურთის დარბაზი, სადაც შეუძლია ფრენბურთის შეტანაც. ამ მიზნებისთვის სკოლას აქვს გარე სტადიონიც. დაწესებულებაში იგეგმება მოექმოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს თვითშეფასებაში მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რაც დასჭირდება პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, იმისათვის, რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N35 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს ნაწილობრივ აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მატერიალური, ელ. რესურსი) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებულ მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად - საკმარისია, თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლას (ს/კ: 248386624) ავტორიზაციის ვადით მიერიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლას მიერიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 16).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორცილების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორცილება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეჩვიდმეტე საკითხი:** სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

### • არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759566 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 9 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში. სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისია, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (B გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს - კალათბურთი და

ფრენბურთი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი და სტადიონი საშუალებას იძლევა წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. ექსპერტების ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### **სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება.

ინდიკატორის 4.1.2.1 - დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, გადახედოს შინაგანაწესს, განახორციელოს დოკუმენტში პროფესიული განათლებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ინკორპორირება, განსაზღვროს იმ მასწავლებლების მაქსიმალური კვირეული სამუშაო დატვირთვა, რომლებიც ითავსებენ ადმინისტრაციულ პოზიციებს (მაგალითად შეზღუდოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მასწავლებლის კვირეული დატვირთვა იმგვარად, რომ ამ პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა მოახერხონ თავიანთი ადმინისტრაციული ფუნქცია-მოვალეობების სრულყოფილად განხორციელება). ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

### **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

ინდიკატორი 3.1.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულების 7.3 პუნქტის განვრცობა/კორექტირება, იმგვარად, რომ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, კერძოდ სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტში დაემატოს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, ასევე დაწესებულებამ დააკონკრეტოს რა მონაცემს ამუშავებს და როგორ.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს შეისწავლოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები, მიიღონ დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი.

ინდიკატორი 2.4.1.6. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს სასწავლო ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესი და ეს წესი განათავსოს ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი 4.1.2.2 - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკას, უზრუნველყოს მასში ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ინკორპორირება, ვაკანსიების გამოცხადებისა და კადრების მოზიდვის ნაწილში დააკონკრეტოს მასწავლებლების ვაკანსიების საჯარო პორტალები: [teacherjobs.ge/school/](https://teacherjobs.ge/school/) და <https://publicwork.moh.gov.ge/#/auth>. უზრუნველყოს დოკუმენტის უნიფიცირება იმგვარად, რომ იგი მოიცავდეს როგორც პროფესიული, ისე ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციფიკას და პასუხობდეს უახლეს საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ექსპერტის განცხადებით, ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 4 ადმინისტრაციული და 15 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 სასწავლო პროცესის მენეჯერი, 1 შესყიდვების სპეციალისტი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 13 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პირები ნაწილობრივ იცნობენ და ნაწილობრივ გააზრებული აქვთ მათი ფუნქციები, ადმინისტრაციას და განმახორციელებლებს არ ჰქონიათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გამოცდილება, მათთვის ეს არის ახალი გამოცდილება, თუმცა ისინი გამოხატავენ მზაობას გაეცნონ, ისწავლონ და შეითავსონ განახლებული ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულებას ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით არ აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში დაგეგმა ამ დოკუმენტის გადახედვა და გადამტკიცება - „ა. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა“, რომლის ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის ოქტომბერი აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია და დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. სკოლას შინაგანაწესით არ აქვს განსაზღვრული საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობა: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობისა და გაცემის წესის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 4.1.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, გადახედოს შინაგანაწესს, განახორციელოს დოკუმენტში პროფესიული განათლებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ინკორპორირება, განსაზღვროს იმ მასწავლებლების მაქსიმალური კვირეული სამუშაო დატვირთვა, რომლებიც ითავსებენ ადმინისტრაციულ პოზიციებს (მაგალითად შეზღუდოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მასწავლებლის კვირეული დატვირთვა იმგვარად, რომ ამ პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა მოახერხონ

თავიანთი ადმინისტრაციული ფუნქცია-მოვალეობების სრულყოფილად განხორციელება). ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“**

ექსპერტის განცხადებით, შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, A გარემო 15 სტუდენტზე - თეორიული სწავლებისათვის, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორია, სპორტის დარბაზი (ჯამში 30 სტუდენტი). სკოლის სპორტული დარბაზი და სტადიონი იმგვარადაა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის N01-03/43 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან. მოთხოვნასთან, პროგრამის ხელმძღვანელი საჭიროებს გადამზადებას თავისი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად - არასაკმარისია, თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების

შესაბამისად, სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლას (ს/კ: 246755738) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 17).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „Front-end დეველოპმენტის“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეთვრამეტე საკითხი:** სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თბილნარის N1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759490 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 10 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში. პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისია, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (B გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს -კალათბურთი და ფრენბურთი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული

სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით. ექსპერტების ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

## სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება.

ინდიკატორი 4.1.2.2 - დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, გადახედოს შინაგანაწესს, უზრუნველყოს მასში საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული უახლესი ცვლილებების ასახვა, დოკუმენტში გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, განახორციელოს დოკუმენტში პროფესიული განათლებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ინკორპორირება, განსაზღვროს იმ მასწავლებლების მაქსიმალური კვირეული სამუშაო დატვირთვა, რომლებიც ითავსებენ ადმინისტრაციულ პოზიციებს (მაგალითად შეზღუდოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის კოორდინატორის მასწავლებლის კვირეული დატვირთვა იმგვარად, რომ ამ პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა მოახერხონ თავიანთი ადმინისტრაციული ფუნქცია-მოვალეობების სრულყოფილად განხორციელება). ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი 4.1.2.3 - დაწესებულებამ გადახედოს ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვროს არსებული რესურსის გათვალისწინებით, მაგალითად ხარისხის მართვის მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ამოიღოს მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნა, დარგის სპეციალისტებს მისცეს საშუალება, რომ კვალიფიკაცია პორტფოლიოს საშუალებით დაუდასტურდათ, ან გადაამზადოს არსებული კადრები (შეიმუშაოს დასაქმებულთა გადამზადების გეგმა) სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისად ან უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების გადამზადება გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

ინდიკატორი 2.2.1.4 - წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, მოამზადოს/გადაამზადოს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების თემატიკის და პროგრამაში მითითებული გრაფიკული პროგრამების ცოდნის გაღრმავების მიმართულებით.

## განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.1.1.2 - დაწესებულების მიერ განსაზღვრული მისია არის საკმაოდ ვრცელი. კარგად ფორმულირებული მისია უნდა იყოს მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი და ხაზს უსვამდეს ორგანიზაციის იდენტობას და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე იყოს ორიენტირებული (სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის 2020 წლის ავტორიზაციის სტანდარტთან დაკავშირებული დეტალური რეკომენდაციები). აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და

პოპულარიზების მიზნით, სასურველია, რომ ზსდ-მ კიდევ ერთხელ გადახედოს მისიას და უზრუნველყოს მისი ლაკონურად, მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომელიც იქნება მამოტივირებელი და ხაზს გაუსვამს დაწესებულების იდენტობას.

ინდიკატორი 1.1.1.3 - მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების ხედვა და ღირებულებები უნდა გამომდინარეობდეს მისიდან, დაწესებულების მიერ ინდიკატორი 1.1.1.2-ის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, სასურველია, რომ დაწესებულებამ ხედვა და ღირებულებები მოიყვანონ შესაბამისობაში შეცვლილ მისიასთან. მისია, ხედვა და ღირებულებები დაწესებულებამ უნდა განაახლოს ერთმანეთთან სინქრონიზებულად. იმისთვის, რომ თავიდან აირიდოს ჩანაწერებს შორის კოლიზიის რისკი.

ინდიკატორი 1.1.1.4 - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული მისის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველყოფა ვებ. გვერდზე განთავსება.

ინდიკატორი 3.1.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულების 7.3 პუნქტის განვრცობა/კორექტირება, იმგვარად, რომ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, კერძოდ სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტში დაემატოს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, ასევე დაწესებულებამ დააკონკრეტოს რა მონაცემს ამუშავებს და როგორ.

ინდიკატორი 4.1.2.2 - გადახედოს დოკუმენტს, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები, დოკუმენტს დაუმატოს სარჩევი, თავფურცელზე დაამატოს დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და სხვა საჭირო რეკვიზიტები, ასევე დააკონკრეტოს იმ პლატფორმის მისამართი, რომელზეც აცხადებს ვაკანსიებს მასწავლებლების მოზიდვის მიზნით.

ინდიკატორი 2.1.1.1. - მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს შეისწავლოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.4.1.1- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში ცვლილების შესახებ.

ინდიკატორი 2.4.1.6 პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს სასწავლო ლაბორატორიისთვის უსაფრთხოდ მუშაობის წესი და ეს წესი განათავსოს ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტის განცხადებით, ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 4 ადმინისტრაციული და 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 პროფესიული განათლების კოორდინატორი, 1 შესყიდვების სპეციალისტი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 10 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, დასაქმებული პირები ნაწილობრივ იცნობენ მათ ფუნქციებს. დაწესებულებას ინტეგრირებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით არ აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში დაგეგმა ამ დოკუმენტის გადახედვა და გადამტკიცება - „ა.ა. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა“. სკოლა გეგმავს შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავებას, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარებულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით. სკოლას შინაგანაწესით არ აქვს განსაზღვრული საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული

არსებითი პირობები: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა და გაცემის წესი, დასვენების დღეები. კადრებთან პირადად გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებისთვის პროფესიული განათლება არის ახალი სფერო, არ აქვთ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნა. ამასთან ეს ადამიანები ამავდროულად არიან ზოგადი განათლების მასწავლებლებიც, რომლებსაც აქვთ კვირეული დატვირთვა, 18 საათი. კვალიფიკაციის დადასტურება სკოლას გაუჭირდა დარგის მიმართულებით წარმოდგენილი მასწავლებლების მიმართაც. დასაქმებულებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების თანამშრომლებს არ აქვთ შესწავლილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ფუნქცია მოვალეობებში არ არის განსაზღვრული ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლითაც შესაძლოა დარგის სპეციალისტს, კერძოდ გრაფიკულ დიზაინერს კვალიფიკაცია შესაძლოა დაუდასტურდეს მისი ნამუშევრების პორტფოლიოს საშუალებით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 72-ე პუნქტი განსაზღვრავს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგნისას, როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C სასწავლო გარემოს არსებობას, ინფრასტრუქტურისა და რესურსების გათვალისწინებით. „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 1 აუდიტორია, სადაც მოეწყობა A და B გარემო ერთად და C გარემო, სადაც მოეწყობა სამხატვრო სალონი. აუდიტორიები იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები - A, B და C გარემოები პროგრამის განხორციელებისთვის, თუმცა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „გრაფიკული დიზაინი“ ჰყავს „ფოტოგრაფიის“ პროფესიული მომზადების პროგრამის კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი, გასაუბრებით ვერ დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, არ იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, თუმცა არის ფოტოგრაფიის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. დისტანციური გასაუბრების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელს მიეცა რეკომენდაცია ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი პროფესიული მოდულის - „რასტრული გრაფიკა 1“-ს განხორციელების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.4.-ის მოთხოვნასთან, რომ

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის ერთი პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, მოამზადოს/გადაამზადოს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების თემატიკის და პროგრამაში მითითებული გრაფიკული პროგრამების ცოდნის გაღრმავების მიმართულებით. საგანმანათლებლო რესურსების მოძიების/თარგმნისთვის გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 248417529) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 18).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეცხრამეტე საკითხი:** სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N 1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 ივნისის MES 9 25 0000774612 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები - დავით კუპატაძე და ალექსანდრე კეკენაძე) დაევალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N 1 საჯარო სკოლაში (მის: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N59) 2025 წლის 5 ივლისს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც

განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება არ ქმნის ხელშემშლელ გარემოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისთვის. პროფესიული და ზოგადი განათლების პროცესები ისეა ორგანიზებული, რომ ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები ეფექტიანად ნაწილდება, რაც უზრუნველყოფს ორივე მიმართულების პარალელურ და შეუფერხებელ განხორციელებას და ქმნის მრავალფეროვან, ეფექტიანად მართვად საგანმანათლებლო გარემოს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### **სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

ინდიკატორი 4.1.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა პროფესიული განათლების მიმართულებით; პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება და შესაბამისი პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი 4.1.1.2. - უზრუნველყოს ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის, შრომის შინაგანაწესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავებული ვერსიის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორი 2.2.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის – არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში.

ინდიკატორი 2.2.1.2. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესაბამისი რაოდენობის და კომპეტენციის პროფესიული მასწავლებლების მოძიება და პროგრამაში ჩართვა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 2025 წლის ნოემბერი).

ინდიკატორი 2.2.1.3 - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის ნოემბერი) უზრუნველყოს ადამიანური რესურსის გადამზადება.

ინდიკატორი 2.2.1.5. - დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა დარგობრივი საგანმანათლებლო რესურსებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის – არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში.

### **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

ინდიკატორი 1.1.1.1. - სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების სახელმწიფო პრიორიტეტებს, თუმცა მისიის ფორმულირებას ახასიათებს სიჭარბე, ტერმინოლოგიური დატვირთულობა და რთული სინტაქსური კონსტრუქციები, რაც ზღუდავს მის იოლ აღქმას. შესაბამისად სკოლას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია, ის იყოს უფრო მარტივად გასაგები, მოკლედ და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რათა ადვილად აღქმადი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.8. - განახლდეს საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ენის მოდულები, და არსებული ვერსიები ჩანაცვლდეს 2021 წლის 3 თებერვლის №55016 ბრძანების შესაბამისი ვერსიებით

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში (პედაგოგიურ საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინურ კომიტეტი). პროფესიული განათლების მიმართულებით თანამდებობები სრულად არ იყო დამატებული, თუმცა, შემუშავდა პროფესიული განათლების ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. კერძოდ გაიჩინა: პროფესიული განათლების კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები და შეირჩა შესაბამისი კადრები. იგეგმება ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა, ასევე პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომელთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები: - უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა პროფესიული განათლების მიმართულებით, პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება და შესაბამისი პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული პოზიციის ფუნქციებსა და მოთხოვნებს. თუმცა, არსებული სტრუქტურული ერთეულები ნაწილობრივ ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების სრულფასოვან განხორციელებას. შესაბამისად, დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N2-16 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია განახლებული ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა-კორექტირება.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“**

ექსპერტის განცხადებით, საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით, პროფესიული პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება, დაწესებულების აუთივისებელ ფართში გამოყოფილ ერთ საკლასო ოთახში, სადაც მოეწყობა A და B ტიპის სასწავლო გარემო, ექსპერტებმა დაათვალიერეს აღნიშნული ფართი, თუმცა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი გარკვეული მიზეზების გამო არ იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, დაწესებულების დირექტორის 16.06.2025-წ N2-16 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შემსრულებლები და პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და შესრულების თარიღები. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით მატერიალური რესურსის შესყიდვა დასრულდება არაუგვიანეს 6 თვის ვადაში. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ასევე წარმოდგენილია სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. დოკუმენტით დაგეგმილია დამატებით განმახორციელებელი პირების მოძიება, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით და არსებული ადამიანური რესურსისთვის დამატებით ტრენინგების ჩატარება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნულიდან გამომდინარე გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ

შემუშავებული შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულია ადამიანური რესურსის განვითარება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური სახით, ხოლო პროფესიული მოდულებისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსი მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. შესაბამისად დირექტორის 16.06.2025 N2-16 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N 1 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N 1 საჯარო სკოლას (ს/კ: 232386272) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 19).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელები და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.

**მეოცე საკითხი:** სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის ქ. ქუთაისის N22 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამთა კვინიკაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25/06/2025 წლის N753407 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის(1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის(3.1. კომპონენტი), დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის(4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3., 2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 4 ივლისს განხორციელდა სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N22 საჯარო სკოლაში ( ქ. ქუთაისი, განათლების ქ. №64) ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს.

დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომელიც განახორციელებენ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სწავლებას და დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) საჭიროებს შესაბამის მოწყობას, რაც გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს მის ხელთ არსებული ფართი, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს შეფერხების გარეშე, როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი მიმართულებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები გაწერილია ისე, რომ ზოგადი და პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეეშალოს ხელი. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 1.1 და 3.1 კომპონენტთან.

### **სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**

4.1.1.1-ლი ინდიკატორი. სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომლითაც გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია წინარე შრომის ხელშეკრულებები. აღნიშნული პერსონალი ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. დირექტორის 2025 წლის N1/კ- 17 ბრძანებით (9.06.2025) დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, კოორდინატორის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და შესყიდვების სპეციალისტისა და რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქცია მოვალეობებს. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პოზიციის დასახელება, ფუნქცია მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სასურველი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, დამატებითი მოთხოვნები. პირადი საქმეებში დაცული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტები ხელმოწერილია დასაქმებულთა მიერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს მირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს განვითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N 1/კ - 23 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმა. რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა. სკოლის წარმომადგენლის ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ იგეგმება

ხარისხის, კოორდინატორის. და შესყიდვების და რეესტრის მიმართულებით თანამშრომელთა შტატში აყვანა. ექსპერტთა შეფასების დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

მე-3 ინდიკატორი. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დირექტორის N 1/კ- 17ბარძანებით, რომლის მიხედვითაც „ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მოხდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად ( PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ამ ეტაპისთვის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირად განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელი, რომელსაც შეთავსებული აქვს საქმიანობა. აღნიშნულ პირს არ აქვს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია ხარისხის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობების შესასრულებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა. ექსპერტთა შეფასების დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

## მე-2 სტანდარტი

2.2.1.1- ინდიკატორი- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულებას გამოყოფილი აქვს გარემო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს „სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს დაწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარადა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოწყობის და სრულად აღიჭურვის შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცეები. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა 2025 წლის 13 ივნისის N 1/კ - 23 ბრძანებით დამტკიცებული , სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის რომ სკოლა აღჭურვის იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 16 ივნისის კორესპონდენცია, სადაც პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს აწვდის ინფორმაციას სკოლაში არსებული მატერიალური რესურსების შესახებ , როგორც ლაბორატორიის ასევე პროგრამის აღჭურვილობის შესახებ. სკოლის ადმინისტრაციის ინფორმაციით აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ესპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მე-2 ინდიკატორი პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 11 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა მხოლოდ 1 ჯგუფის მიღების შემთხვევაში არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა 2025 წლის 13 ივნისის N 1/3 - 23 ბრძანებით დამტკიცებული, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმას მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შექმნას საფრთხე. ესპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მე-3 ინდიკატორი პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით რაც შეეხება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირებს, კომპეტენცია უდასტურდებათ მხოლოდ დარგობრივი მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დაწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმახორციელებელ პირებს. რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. გარდა აღნიშნულისა, ესპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ინფორმაცია რომ , ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების

განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მომიერის, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

მე-5 ინდიკატორი საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად შემუშავებული აქვს შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ის გეგმას აღნიშნულ ვადაში მოიძიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსები და აღჭურვოს სკოლის ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო რესურსით მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დაწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული კომპეტენციის მქონე განმახორციელებელ პირებს.

### **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

დაწესებულებას ეძლევა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შესაბამება დაწესებულების სპეციფიკას.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს „სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს დაწესებულებას არჩეული აქვს ფეხბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარადა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცეები. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. დაწესებულება გეგმას განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დაწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმახორციელებელ პირებს. რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელია პროგრამის განმახორციელებელი პირი. დაწესებულებამ მისი კომპეტენციის დასადასტურებლად წარმოადგინა პროგრამის ხელმძღვანელის განათლებისა და სამუშაო გამოცდილება, რომელიც მოიცავს მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და მხარდაჭერის

კომპონენტს. პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვს გამოცდილება კომპიუტერული ქსელების მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის ქ. ქუთაისის N22 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის ქ. ქუთაისის N22 საჯარო სკოლას (ს/კ: 212708346) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის ქ. ქუთაისის N22 საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 20).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ნესტორ გოქაძის სახელობის ქ. ქუთაისის N22 საჯარო სკოლაში 4.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ხოლო, „კომპიუტერული ქსელები და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში, 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 იანვარი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

**წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით, სკოლა ვალდებულია ცვლილება შეიტანოს სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროცესი დაიწყოს ზოგადი მოდულებით, რათა დარგობრივი მოდულების განხორციელება არ დადგეს რისკის ქვეშ.**

**ოცდამეურთე საკითხი:** სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

